ბრძანება:**ბ17. 01231236**

თარიღი:**03/05/2023**

განცხადების ნომერი: 01231211498-17
განცხადების თარიღი: 01/05/2023

მიწის ნაკვეთ(ებ)ი/ობიექტ(ებ)ი

მიწის ნაკვეთ(ებ)ი/ობიექტ(ებ)ი
- საკადასტრო კოდი :01.12.12.033.042
- მისამართი :ქალაქი თბილისი, ცოტნე დადიანის ქუჩა, N 26ა

განმცხადებელი-დამკვეთი :გურამი ციმაკურიძე
პირადი ნომერი :01011076949
მისამართი :თბილისი ხივის შეს. N 8-10 სარდაფი

ნომენკლატურა :განხორციელებული მშენებლობის ექსპლუატაციაში მიღება კულტურის და დასვენების ობიექტები / გასართობი ცენტრი / ქმედება: მშენებლობის ნებართვისა და შეთანხმებული პროექტის ცვლილებით განხორციელებული მშენებლობის ექსპლუატაციაში მიღება / კლასი: II

სტადიები:
- ექსპლუატაცია

მოთხოვნის შინაარსი
- მოთხოვნის ტექსტი :გთხოვთ მიიღოთ ექსპლუატაციაში საპროექტო შენობა (გასართობი ცენტრი) მის: ქ. თბილისი ცოტნე დადიანის 26ა ს/კ 01.12.12.033.042

დამკვეთის ან უფლებამოსილი პირის ინფორმაცია
- დამკვეთ(ებ)ის პირადი ნომერი :01001090767
- დამკვეთ(ებ)ის სახელი და გვარი :ლევან ჭეიშვილი
- ორგანიზაცია (არსებობის შემთხვევაში) :შ.პ.ს ნიუ ვეი
- საიდენტიფიკაციო კოდი :406141107

განხორციელებული მშენებლობის შედეგად მიღებული ტექნიკურ-ეკონომიკური მაჩვენებლები (მეათედების სიზუსტით). /ტექნიკურ-ეკონომიკური მაჩვენებლები დაანგარიშდეს იმ კანონმდებლობის შესაბამისად, რომლის საფუძველზეც შეთანხმდა საპროექტო დოკუმენტაცია/
- მიწის ნაკვეთის ფართობი (კვ.მ) :635.0
- განაშენიანების ფართობი (კვ.მ) :184.0
- საერთო ფართობი (კვ.მ) :325.6
- კომერციული ფართობი (კვ.მ) :186.5
- საზაფხულო ფართობი (კვ.მ) :37.1
- კიბის უჯრედისა და სადარბაზოს ფართობი (კვ.მ) :7.8
- საწარმოო ფართობი (კვ.მ) :57.1
- დამხმარე ფართობი (კვ.მ) :37.1
- სამშენებლო მოცულობა (კუბ.მ) :1474.4
- 0.00 ნიშნულის ზევით (კუბ.მ) :1251.5
- 0.00 ნიშნულის ქვევით (კუბ.მ) :222.9

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალურმა ინსპექციამ განიხილა თქვენ მიერ ელექტრონულად წარმოდგენილი N01231211498-17 განცხადება და მასზე თანდართული დოკუმენტაცია და პასუხად გაცნობებთ შემდეგს:

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის VI თავის, საქართველოს კანონის „საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიტექტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსი"-ს 141^3 მუხლის, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 23 ივლისის N85-73 დადგენილების „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური ინსპექციისათვის ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში სანებართვო პირობების დარღვევით წარმოებული მშენებლობის ექსპლუატაციაში მიღების მიზნით ელექტრონული დოკუმენტბრუნვის სისტემის საშუალებით ადმინისტრაციული წარმოების განხორციელების, აგრეთვე

ადმინისტრაციულსამართლებრივი აქტის გამოცემისა და გაცნობის წესის და პირობების დამტკიცების შესახებ", ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 25 სექტემბრის N28-94 დადგენილების „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური ინსპექციის დებულების დამტკიცების შესახებ"

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

1. მიღებულ იქნეს ექსპლუატაციაში ქ. თბილისში, ცოტნე დადიანის ქუჩა, N 26ა-ში (ს/კ N01.12.12.033.042) სანებართვო პირობების დარღვევით ნაწარმოები მშენებლობადამთავრებული ობიექტი (მსუბუქი კონსტრუქციის ტიპის ბავშვთა გასართობი ცენტრი).

2. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

ზაზა კვიციანი

მუნიციპალური ინსპექცია-პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელის მოადგილე
(მუნიციპალური ინსპექციის უფროსის მოადგილე)

გამოყენებულია კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერა/ელექტრონული შტამპი

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირი – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტო

წერილის ნომერი: **d16.01233551**
თარიღი: **21/12/2023**

დასკვნა

სპეციალური (ზონალური) შეთანხმების გაცემის თაობაზე

შედეგი:	თანხმობა
განაცხადი	
განცხადების ნომერი:	01233532942-67
განცხადების თარიღი:	19/12/2023
ნომენკლატურა :	სპეციალური (ზონალური) შეთანხმება ინდივიდუალური პარამეტრების დადგენა /
მიწის ნაკვეთ(ებ)ი/ობიექტ(ებ)ი	
საკადასტრო კოდი :	01.12.12.033.042
მისამართი :	ქალაქი თბილისი, ცოტნე დადიანის ქუჩა, N 26ა
მესაკუთრეები :	შპს ,,ნიუ ვეი",
განმცხადებელი-დამკვეთი	
განმცხადებელი :	ბადრი ბაგათელია
პირადი ნომერი :	62006026453
მისამართი :	თბილისი ირაკლი აბაშიძის ქ. N 70 ბ. 76
დამკვეთის ინფორმაცია :	
დამკვეთ(ებ)ის სახელი და გვარი :	62006026453
ტერიტორიის გამოყენების სახეობა :	
ტერიტორიის გამოყენების სახეობა :	გასართობი ცენტრი
კ2 კოეფიციენტის საანგარიშო ფართობი :	380.0
მოთხოვნის შინაარსი :	
	მსურს არსებული კ1 კოეფიციენტის დადასტურება კ1=0,4 , შენობა შესულია

მოთხოვნის ტექსტი :	ექსპლუატაციაში .
განმარტებითი ბარათი :	
განმარტებითი ბარათის ტექსტი :	ტერიტორიის კვლევა მოგახსენებთ რომ ჩვენს მიერ ჩატარებული იქნა აღნიშნული ტერიტორიის კვლევა მისამართი : ქ.თბილისი ცოტნე დადიანის ქუჩა #26ა ს/კ 01.12.12.033.042 . აღნიშნული ტერიტორიის მიწის ნაკვეთის დანიშნულება არის არასასოფლო-სამეურნეო , კვლევის შედეგად დადგინდა , რომ განაშენიანების ძირითად სახეობებს შეადგენს მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლები , აგანმანათლებლო დაწესებულებები კომერციული ფართები და კვების ობიექტები. განაშენიანების სიმაღლე მერყეობს 6 მეტრიდან 28.0 მეტრამდე. საპროექტო ტერიტორიას აღმოსავლეთით ესაზღვრება საზოგადოებრივი სივრცე , ხოლო დანარჩენ სამ მხარეს კი რეგისტრირებული ნაკეთები . ტერიტორიაზე იგეგმება არსებული შენობის რეკონსტრუქცია , მოგახსენებთ რომ ნაკვეთზე შეთანხმდა გასართობი ცენტრის პროექტი №1257156 განცხადებით , აშენდა შენობა და ბ17. 01231236 ბრძანების ნომრით შენობა მიღებულია ექსპლუატაციაში , იგეგმება არსებული შენობის ფასადის იერსახის მოწესრიგება , არსებული მდგომარეობით კ1 კოეფიციენტი არის 0.4 , მეტი ვიდრე ზონისთვის არის გათვალისწინებული . შენობის ამჟამინდელი გაბარიტული ზომები არ იცვლება , ხდება მხოლოდ მოსაპირკეთებელი მასალის ცვლილება და სარეკლამო აბრის დამატება . გვსურს არსებული კ1 კოეფიციენტის დადასტურება . საკვლევ ტერიტორიაზე განაშენიანების ძირითადი სართულიანობა მერყეობს 2 სართულიდან 8 სართულამდე , ხოლო სიმაღლე 6 მეტრიდან 28.0-მდე. საკვლევი ტერიტორიის სავარაუდო კოეფიციენტები : მიწის ნაკვეთის განაშენიანების კოეფიციენტი შეადგენს კ1=0.4 მიწის ნაკვეთის განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტი შეადგენს კ2=---- მიწის ნაკვეთის გამწვანების კოეფიციენტი შეადგენს კ3=0.6 კვლევაში ასახული რეალობიდან გამომდინარე მიზანშეწონილად მიგვაჩნია საპროექტო ტერიტორიის განვითარება სარეკრეაციო ზონა 2-ის ფუნქციით .
გადაწყვეტილება :	
საპროექტო ობიექტის ფუნქციური დანიშნულება :	ბავშვთა გასართობი ცენტრი
	ადმინისტრაციული წარმოების პროცესში დადგინდა, რომ ქალაქთბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის N39-18 დადგენილებით დამტკიცებული დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის თანახმად, №01.12.12.033.042 (ფართობი 635.00 კვ.მ) საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთზე ვრცელდება სარეკრეაციო ზონა 2 (რზ-2). გამწვანებული ტერიტორიების რუკის თანახმად ნაკვეთზე ასევე ვრცელდება სარეკრეაციო ზონა 2 - (რზ-2). "დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18 დადგენილების დანართი N2-ის 68-ე მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, თბილისის გამწვანებული ტერიტორიების რუკაზე დატანილი ზონები და ქვეზონები ატარებს ოპერატიულ ინფორმაციას თბილისში არსებული და დაგეგმილი სარეკრეაციო, სატყეო და ლანდშაფტური სივრცეების შესახებ და მისი გათვალისწინება სავალდებულოა სამშენებლო და გეგმარებითი ნებართვების გაცემის პროცესში. „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის №14–39 დადგენილებით დამტკიცებული წესების მე-15 მუხლის მე-5 პუნქტის „დ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, სარეკრეაციო ზონა 2 (რზ-2) არის სარეკრეაციო ქვეზონა, რომელიც მოიცავს თბილისის განაშენიანებული ტერიტორიების საზღვრებში არსებულ/დაგეგმილ გამწვანებულ ტერიტორიებს: პარკს, ღია სათამაშო მოედნებს და მსგავსი ტიპის სხვა ტერიტორიებს. იმავე განაშენიანების რეგულირების წესების მე-16 მუხლის პირველი პუნქტის ,,დ'' ქვეპუნქტის თანახმად, სარეკრეაციო ზონა 2-ში (რზ-2) დაუშვებელია ყოველგვარი მშენებლობა, გარდა ამ წესების დანართი 1-ით განსაზღვრული ძირითადი და სპეციალური (ზონალური) შეთანხმებით დაშვებული სახეობებისა და დადგენილია განაშენიანების რეგულირების შემდეგი პარამეტრები: მიწის ნაკვეთის განაშენიანების მაქსიმალური კოეფიციენტი კ-1= 0.2 მიწის ნაკვეთის განაშენიანების ინტენსივობის მაქსიმალური კოეფიციენტი კ-2= --- მიწის ნაკვეთის გამწვანების მინიმალური კოეფიციენტი კ-3= 0.8 მიწის ნაკვეთის მინიმალური ფართობი - 600* კვ.მ საცხოვრებელი სიმჭიდროვე -10/1**ერთეული/ჰა მიწის ნაკვეთის მინიმალური სიგანე - --- მიწის ნაკვეთის მინიმალური სიღრმე - ---

გადაწყვეტილების დასაბუთება :	შენობა-ნაგებობის მაქსიმალური სიმაღლე: 12 მეტრი*** * 2020 წლის 1 იანვრიდან დაყოფის (გამიჯვნის) შედეგად წარმოშობილ მიწის ნაკვეთზე სასტუმროსა და ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლის მშენებლობისათვის **ინდივიდუალური (ერთბინიანი) საცხოვრებელი სახლებისთვის განაშენიანების რეგულირების გეგმის ფარგლებში *** ძირითადი დასაშვები და სპეციალური (ზონალური) შეთანხმებით დაშვებული შენობებისათვის საპროექტო ტეიტორიაზე, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის 2014 წლის 26 თებერვლის N397 განკარგულებით, მსუბუქი კონსტრუქციის ტიპის ბავშვთა გასართობი ცენტრის განთავსების მიზნით, გაიცა სპეციალური (ზონალური) შეთანხმება და განაშენიანების კოეფიციენტი (კ1) განისაზღვრა: კ1=0.3. №1144257გადაწყვეტილებით გაიცა მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობები. შეთანხმდა არქიტექტურული პროექტი (ბრძნება N1257156) და გაიცა მშენებლობის ნებართვა (ბრძნება №1283041). განმცხადებლის განმარტებით, საპროექტო ტერიტორიაზე არსებული შენობა, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური ინსპექციის 2023 წლის 3 მაისის ბ17.01231236 ბრძანებით მიღებული იქნა ექსპლუატაციაში. სარეკონსტრუქციო სამუშაოები მოიცავს არსებული შენობის გაბარიტების ფარგლებში, მხოლოდ ფასადის სარეკონსტრუქციო სამუშაოებს და სარეკლამო აბრის განთავსებას, ასევე არ იცვლება ობიექტის ფუნქცია. „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის №14–39 დადგენილებით დამტკიცებული წესების 24-ე მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, მიწის ნაკვეთები და შენობები-ნაგებობები, რომლებიც არ შეესაბამებიან განაშენიანების რეგულირების წესების მოთხოვნებს წინა მუხლის პირველი პუნქტით განსაზღვრული პარამეტრების შესაბამისად და შესაბამისობის უზრუნველყოფა შეუძლებელია, წარმოადგენენ განპირობებულ (იძულებით) შეუსაბამო უძრავ ობიექტებს. იმავე მუხლის მე-5 პუნქტის თანახმად, განპირობებული (იძულებითი) შეუსაბამო სტატუსის მქონე უძრავი ობიექტებისათვის ინდივიდუალური პარამეტრების დადგენა საჭიროებს სპეციალურ (ზონალურ) შეთანხმებას, რომელიც გაიცემა ამ თავის მოთხოვნათა შესაბამისად. იმავე განაშენიანების რეგულირების წესების 22-ე მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, სპეციალური (ზონალური) შეთანხმება წარმოადგენს ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების საგამონაკლისო წესს და მისი გაცემა დასაშვებია მხოლოდ ამ წესებით განსაზღვრულ შემთხვევებში, ამ მუხლით დადგენილი მოთხოვნების შესაბამისად. იმავე მუხლის მე-2 პუნქტის „დ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, სპეციალური (ზონალური) შეთანხმება გაიცემა კონკრეტული მიწის ნაკვეთისათვის იძულებით (განპირობებული) შეუსაბამო უძრავი ობიექტებისათვის ინდივიდუალური პარამეტრების დასადგენად.
დასკვნა :	„ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის №14–39 დადგენილებით დამტკიცებული წესების 24-ე მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, განპირობებული (იძულებით) შეუსაბამო უძრავი ობიექტებითვის, განაშენიანების რეგულირების წესებით განსაზღვრული პირობით, ხდება ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების ინდივიდუალური პარამეტრების დადგენა, რომლებიც უნდა ითვალისწინებდეს ტერიტორიის ეფექტური გამოყენების შესაძლებლობას, არ უნდა ლახავდეს სხვა მესაკუთრეთა ინტერესებს და არ უნდა ეწინააღმდეგებოდეს არსებული განაშენიანების გეგმარებით, მოცულობით-სივრცით და ესთეტიკურ პარამეტრებს. განმცხადებლის განმარტებით, არსებული შენობა მიღებულია ექსპლუატაციაში, იგეგმება მისი რეკონსტრუქცია გაბარიტების უცვლელად - მხოლოდ ფასადის სარეკონსტრუქციო სამუშაოები და სარეკლამო აბრის განთავსება, ასევე არ იცვლება ობიექტის ფუნქცია. თუმცა ვინაიდან გადაჭარბებულია დღეს მოქმედი ფუნქციური ზონის განაშენიანების მინიმალური პარამეტრი, მოთხოვნილია კ1 კოეფიციენტის დადასტურება - კ1=0,4. ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, სააგენტოს მიწის ნაკვეთისთვის ინდივიდუალური პარამეტრების დადგენა და გადაჭარბებული კოეფიციენტის (კ1=0.4) დადასტურება, შესაძლებლად მიაჩნია, იმის გათვალისწინებით, რომ კ1=0.4 მაჩვენებელი გამოყენებულ იქნება მხოლოდ ექსპლუატაციაში მიღების დროისათვის (ბრძანება ბ17.01231236) არსებული შენობის კონტურის ფარგლებში, აღნიშნული შენობის ფასადის რეკონსტრუქციისათვის.

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/ელექტრონული
შტამპი

სააგენტოს უფროსი



ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირი – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტო

წერილის ნომერი: **01233551570**
თარიღი: **21/12/2023**

ადრესატი: ბადრი ბაგათელია
პირადი ნომერი: 62006026453
მისამართი: თბილისი ირაკლი აბაშიძის ქ. N 70 ბ. 76

განცხადების ნომერი: 01233532942-67
განცხადების თარიღი: 19/12/2023

მიწის ნაკვეთ(ებ)ი/ობიექტ(ებ)ი

მიწის ნაკვეთ(ებ)ი/ობიექტ(ებ)ი
- საკადასტრო კოდი :01.12.12.033.042
- მისამართი :ქალაქი თბილისი, ცოტნე დადიანის ქუჩა, N 26ა

განმცხადებელი-დამკვეთი :ბადრი ბაგათელია
პირადი ნომერი :62006026453
მისამართი :თბილისი ირაკლი აბაშიძის ქ. N 70 ბ. 76

ნომენკლატურა :სპეციალური (ზონალური) შეთანხმება ინდივიდუალური პარამეტრების დადგენა /

თქვენი განცხადების შესაბამისად, გიგზავნით ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს დასკვნასა და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის ბრძანებას

ვიქტორ წილოსანი

სააგენტოს უფროსი

გამოყენებულია კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერა/ ელექტრონული შტამპი

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერია

ბრძანება:**ბ01. 01233552**

თარიღი:**21/12/2023**

ქალაქ თბილისში, ცოტნე დადიანის ქუჩა N26ა-ში მდებარე ნაკვეთისთვის (საკადასტრო კოდი: N01.12.12.033.042) ინდივიდუალური პარამეტრების დადგენის მიზნით, სპეციალური (ზონალური) შეთანხმების გაცემის თაობაზე

„ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის №14-39 დადგენილებით დამტკიცებული წესების 22-ე მუხლის მე-2, მე-9 და მე-13 პუნქტებისა და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს მიერ N01233532942-67 განცხადებასთან დაკავშირებით მომზადებული დასკვნის საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. ქალაქ თბილისში, ცოტნე დადიანის ქუჩა N26ა-ში მდებარე ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: N01.12.12.033.042) არსებული ბავშვთა გასართობი ცენტრის რეკონსტრუქციისთვის (ფასადის რეკონსტრუქცია ექსპლუატაციაში მიღების დროისათვის (ბრძანება ბ17.01231236) არსებული შენობის კონტურის ფარგლებში) ინდივიდუალური პარამეტრების დადგენის მიზნით, გაიცეს სპეციალური (ზონალური) შეთანხმება და მიწის ნაკვეთის განაშენიანების კოეფიციენტი განისაზღვროს არსებული მდგომარეობის შესაბამისად: კ-1=0.4

2. წინამდებარე ბრძანების მოქმედების ვადაა გამოცემიდან 2 (ორი) წელი.

3. წინამდებარე ბრძანება განხილულ იქნას ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს მიერ N01233532942-67 განცხადებასთან დაკავშირებით მომზადებულ დასკვნასთან ერთად.

4. კონტროლი ბრძანების შესრულებაზე დაევალოს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის პირველ მოადგილეს (ვიცე - მერს) ირაკლი ხმალაძეს.

5. ამ ბრძანების გასაჩივრება, დაინტერესებული მხარის მიერ, შესაძლებელია მისთვის ბრძანების გაცნობიდან ერთი თვის ვადაში, თბილისის საქალაქო სასამართლოში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, №64), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

კახა კალაძე

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერი

გამოყენებულია კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერა/ ელექტრონული შტამპი

სანოტარო მოქმედების ინდივიდუალური ნომერი

2618001537602 3

საქართველო



სანოტარო მოქმედების დასახელება

იურიდიული პირის (ასევე, ინდივიდუალური მეწარმის მიერ) მიერ მინდობილობის/რწმუნებულების დადასტურება

სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის ნომერი

N231706412



რეგისტრაციის თარიღი

13.12.2023 წ

ნოტარიუსი: ლუნუ კაკოჩაშვილი

მისამართი: ქ.თბილისი, ქეთევან წამებულის გამზირი #67- ის მიმდებარედ.

ტელეფონი: 2 30 69 98; 591 70 99 72

სანოტარო მოქმედებისა და სანოტარო აქტის შესახებ ინფორმაციის (მისი შეწყვეტის, შეცვლის და/ან გაუქმების შესახებ) მიღება-გადამოწმება შეგიძლიათ საქართველოს ნოტარიუსთა პალატის ვებ-გვერდზე: www.notary.ge ასევე შეგიძლიათ დარეკოთ ტელეფონზე: +995(32) 2 66 19 18

საქართველო
სანოტარო აქტი

ორი ათას ოცდასამი წლის ცამეტ დეკემბერს ნოტარიუს ნუნუ კაკოჩაშვილს, რომლის სანოტარო ბიურო მდებარეობს შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, ქეთევან წამებულის გამზირი #67-ის მიმდებარედ მომმართა შპს „ნიუ ვეი"-ს (რეგისტრირებული:10/03/2015 წელს, იურიდიული მისამართი: საქართველო, თბილისი, ისანი-სამგორის რაიონი, III მასივი,ზემო პლატო კორ. 11 ბ. 40, საიდენტიფიკაციო კოდი: #406141107) დირექტორმა ლევან ჭეიშვილმა. მან განაცხადა, რომ სურს მინდობილობის შედგენა და მოითხოვა მისი სანოტარო წესით დამოწმება. მე დავადგინე მისი პირადობა მის მიერ წარმოდგენილი პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტით და დავრწმუნდი, რომ მე ნამდვილად ლევან ჭეიშვილმა (დაბ.:05.08.1996 წელს, ოზურგეთი, მისამართი:თბილისი დავით კვაჭანტირაძის ქ. N 5 კორ. 2 ბ. 7, პირადი #01001090767, რეგ. მისამართი: საქართველო, ქალაქი თბილისი, სტეფანე ჭრელაშვილის ქუჩა, N 5) მომმართა. მე შევამოწმე მისი უფლებამოსილება. იგი უფლებამოსილია წარმოადგინოს ზ/აღნიშნული შპს თანახმად ამონაწერისა მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრიდან განაცხადის რეგისტრაციის ნომერი: B22030647, 21/03/2022 14:05:55. მე შევამოწმე მისი ქმედუნარიანობა და დავრწმუნდი, რომ მას ქმედუნარიანობაში ეჭვის შეტანის საფუძველი არ მქონია. მე დავადგინე მისი ნების გამოვლენის ნამდვილობა და მინდობილობის შინაარსი, შემდეგ შევადგინე მინდობილობა, რომელიც წავუკითხე და განვუმარტე მას. მან წაიკითხა მინდობილობა და მკაფიოდ და ნათლად განაცხადა, რომ მინდობილობა ზუსტად გამოხატავს მის ნებას. მან ჩემი თანდასწრებით პირადად მოაწერა ხელი შემდეგ მინდობილობას:

მ ი ნ დ ო ბ ი ლ ო ბ ა

შპს „ნიუ ვეი"-ს (რეგისტრირებული:10/03/2015 წელს, იურიდიული მისამართი: საქართველო, თბილისი, ისანი-სამგორის რაიონი, III მასივი,ზემო პლატო კორ. 11 ბ. 40, საიდენტიფიკაციო კოდი: #406141107) დირექტორმა ლევან ჭეიშვილმა (დაბ.:05.08.1996 წელს, ოზურგეთი, მისამართი:თბილისი დავით კვაჭანტირაძის ქ. N 5 კორ. 2 ბ. 7, პირადი #01001090767, რეგ. მისამართი: საქართველო, ქალაქი თბილისი, სტეფანე ჭრელაშვილის ქუჩა, N 5) რომელიც შემდგომში მოხსენიებულია, როგორც „მიმნდობი", ბადრი ბაგათელიას (დაბ.:14.08.1973 წელს, გალი, პირადი #62006026453), რომელიც შემდგომში მოხსენიებულია როგორც „მინდობილი პირი", წესდებით მინიჭებული უფლებამოსილების ფარგლებში, მიანიჭა შემდეგი უფლებამოსილება:

„მინდობილი პირი" უფლებამოსილია წარმოადგინოს და დაიცვას „მიმნდობის" შპს „ნიუ ვეი"-ს (საიდენტიფიკაციო კოდი: #406141107) ინტერესები სსიპ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოში და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურში. აიღოს ყველა სახის ნებართვა მისი შეხედულებისამებრს შემდეგ საკადასტრო კოდზე: 01.12.12.033.042. ამასთან დაკავშირებით ხელი მოაწეროს შესაბამის დოკუმენტებს და შეასრულოს ზ/აღნიშნულ დავალებასთან დაკავშირებული მოქმედებები.

მინდობილობა გაცემულია ერთი წლის ვადით მესამე პირზე გადანდობის უფლების გარეშე.

წინამდებარე მინდობილობა შედგენილია სამ თანაბარმნიშვნელოვან ეგზემპლარად, რომელთაგან ერთი ინახება ნოტარიუსის სანოტარო არქივში, ხოლო დანარჩენი გადაეცა „მიმნდობს".

წინამდებარე მინდობილობა „მიმნდობს: ხმამაღლა წაუკითხა ნოტარიუსმა. „მიმნდობმა" მოიწონა წინამდებარე მინდობილობა და მას ხელი მოაწერა პირადად და ნოტარიუსის თანდასწრებით.

წინამდებარე მინდობილობას თან ერთვის შემდეგი დოკუმენტი: ამონაწერი სამეწარმეო რეესტრიდან.

გადახდილია სანოტარო მომსახურების საზღაური: ოცდაათი (30) ლარი, თანახმად საქართველოს მთავრობის დადგენილების #507 (2011 წლის 29 დეკემბერი) სანოტარო მოქმედებათა შესრულებისათვის საზღაურისა და საქართველოს ნოტარიუსთა პალატისათვის დადგენილი საფასურის ოდენობის, მათი გადახდევინების წესისა და მომსახურების ვადების დამტკიცების შესახებ 31-ე მუხლისა, აგრეთვე დღგ: 5.40 (ხუთი ლარი და ორმოცი თეთრი), თანახმად საქართველოს საგადასახადო კოდექსის 166-ე მუხლისა, ხუთი (5) ლარი, თანახმად საქართველოს მთავრობის დადგენილება #507-ის 39-ე მუხლისა, ჯამში: 40 (ორმოცი) ლარი და 40 (ორმოცი) თეთრი.

მიმნდობი: ----------

ნოტარიუსი: ---------- / ნუნუ კაკოჩაშვილი /